პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ აპრილი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ,,გაეროს განვითარების პროგრამის" (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" (UNJP) ფარგლებში „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის განხორციელებისთვის 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გრანტის მიღებისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 აპრილის №48-482211811 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,გაეროს განვითარების პროგრამის" (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" (UNJP) ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სურს გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის განხორციელების მიზნით, რომლის ფარგლებშიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გამოეყოფა გრანტი - 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ,,გაეროს განვითარების პროგრამის" (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" (UNJP) ფარგლებში „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის განხორციელებისთვის 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გრანტის მიღებისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

შესრულებელია:

მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი — მარიამ კუჭავა

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — მაკა ჭელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482211811**
თარიღი: **28/04/2022**
პინი: **0413**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ "**გაეროს განვითარების პროგრამის" (UNDP)** ერთობლივი პროგრამის - **„გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" (UNJP)** ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სურს გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება **„მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის"** პროგრამის განხორციელების მიზნით, რომლის ფარგლებშიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გამოეყოფა გრანტი - **50000 (ორმოცდაათი ათასი)** ლარის ოდენობით.

პროგრამის განხორციელებისას დაგეგმილია კონკურსის გამოცხადება, რომლის ფარგლებშიც მივიღებთ ბიზნეს იდეებს და განვიხილავთ მათი დაფინანსების საკითხს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე მეწარმეობის განვითარებას.

პროგრამის მიზნებს წარმოდგენს:

ა) სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა;

ბ) აგროტურისტული პოტენციალის განვითარება;

გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

დ) დასაქმების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ბიზნეს იდეების კონკურსში მონაწლეობის მიღება შეუძლიათ:

ა) წყალტუბოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქეს, ფიზიკურ პირს, რომელსაც პროექტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება;

ბ) წყალტუბოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) წყალტუბოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმე იურიდულ პირს.

ბიზნეს იდეის წარდგენა ასევე შეუძლია ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან/და მეწარმე იურიდიულ პირს, რომელიც არ არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, თუმცა, დაფინანსების შემთხვევაში, მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი სრულად განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის შესაბამისად მოგვცეთ თანხმობა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში გრანტის მიღებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge